

განიკითხე და ჯერთუ-იყოს შენ მიერ დაენერგენ შორის ეკლესიასა, და უკეთუ არა ღირს რა მე იყოს წიგნი ესე, დაწუ და სიუცბე ჩემი დაფარე და მე მამხილე და შევიწინაო“. ეს სიტყვები ეკუთვნის ბრწყინვალე თარგმანის ავტორს. დავითის ფსალმუნების ვრცელი განმარტებანი შესულია „შატბერდის კრებულში“.

IX—X სს. ხელნაწერები წარმოდგენას გვიქმნის საგადამწერლო საქმის განვითარებაზე. მათ გადამწერთა („მწერალთა“) ზოგიერთი სახელიც შემოუნახავთ. ამ პერიოდის კალიგრაფთაგან ცნობილი არიან ამონა (IX ს.) — 864 წლის სინური მრავალთავის ერთ-ერთი ვადა-მწერთაგანი; მაკარი ლეთეთელი (XI ს.) — გრიგოლ ხანძთელის მოწაფე, ასევე ერთ-ერთი გადამწერი სინური მრავალთავისა; მიქაელი (IX ს.) — აღიშის სახარების გადამწერი (897 წ.); გაბრიელი (X ს.) — პავლე მოციქულის ეპისტოლეთა წიგნის გადამწერი; მეორე გაბრიელი (X ს.) — ჯრუჭის პირველი ოთხთავის გადამწერი; გაბრიელ პატარა (X ს.) — გადამწერი სხვადასხვა სასულიერო ნაწარმოების უზარმაზარი კრებულისა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ შეიცავს „შუშანიკის მარტივობისა“ და „აბო თბილელის მარტივობის“ ნუსხებს. როგორც მისი ანდერძიდან ჩანს, გაბრიელს საგანგებოდ უძებნია კრებულში შესატანი თხზულებების დედნები და რაც პარხლის მონასტერში (სადაც თვითონ მოღვაწეობდა) ვერ უნახავს, იშხნის მონასტრიდან უთხოვია; ივანე საფარელი (X ს.), რომელსაც სინას მთაზე გადაუწერია იოანე ოქრობირის ცხოვრება; იოანე ბერაი (X ს. დიდი ქართველი ჰიმნოგრაფის მიქაელ მოდრეკილის დისწული) — 973 წ. შატბერდის მონასტერში გადაწერა და პარხლის ახლადაშენებულ ეკლესიას შესწირა სახარება, რომელიც პარხლის ოთხთავის სახელითაა ცნობილი. უმთავრესად მისივე ხელით და ხელმძღვანელობითაა გადაწერილი ცნობილი „შატბერდის კრებული“; იოანე-ზოსიმე (X ს.), რომლის ხელით რამდენიმე წიგნია გადაწერილი საბაწმინდის ლავრასა და სინას მთაზე. იოანე-ზოსიმე თავის ყველა ხელნაწერს ურთავდა ანდერძს, სადაც მიუთითებდა გადაწერის თარიღს და ასახელებდა თავის თანამშრომლებს; იოანე ტატანელი (X ს.) — ურბნისის ოთხთავის გადამწერი; იოანე ჩირაი (X ს.) — ოშკის კალიგრაფიული სკოლის წარმომადგენელი; მიქაელ ვარაზ ვარეს ძე, სტეფანე, გიორგი გელასისძე (X ს.) — 978 წ. ოშკის მონასტერში გადაწერეს ბიბლია, ცნობილი ოშკის ბიბლიის სახელით, დამკვეთი ყოფილა ცნობილი თორნიკე ერისთავი.

4. ხუროთმოძღვრება. ხელოვნება

ა) ხუროთმოძღვრება

IX—X სს. ქართულ ხუროთმოძღვრებაში ახალი სტილის ჩამოყალიბების ხანაა. ჩვენამდე მოღწეული ძეგლები, ისევე როგორც წინა პერიოდიდან, საფორტიფიკაციო და საეკლესიო ნაგებობებია. ნაკლებად ვიცნობთ სამოქალაქო შენობებს — სასახლეებს, სასწავლებლებს. მეტისმეტად მწირია ჩვენი წარმოდგენა საცხოვრებელი სახლების შესახებ როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

მშენებლობის ხელოვნებასა და საშენ მასალაში რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ხუროთმოძღვრული ძეგლებისათვის დამახასიათებელია ფორმათა და თემათა დიდი მრავალფეროვნება. ზოგი წინა ხანიდანაა შემკვიდრებით მიღებული, ზოგი სრულიად ახალია. ზოგი მათგანი მკვიდრდება და ვითარდება, ზოგი მაშინვე კვდება.

ქართული საეკლესიო მშენებლობის წამყვანი არქიტექტურული ტიპია ჯვარგუმბათოვანი ტაძარი ე. წ. „ჩახაზული ჯვრის ტიპი“. მისი ქვედა კორპუსის საფუძველია ქრისტიანობის უმნიშვნელოვანესი სიმბოლო — ჯვარი. გვეგმაზე იგი წარმოადგენს სწორკუთხედში ჩაწერილ ჯვარს, რომლის დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერბი დაგრძელებულია და აღმოსავლეთით სრულდება ნახევარწრიული ფორმით — აფსიდით. აქ არის საკურთხეველი. ჯვრის მკლავებსა და სწორკუთხედს შორის დარჩენილი არე — ე. წ. მკლავთაშორისი სივრცეები — დასავლეთით თავისუფალ სივრცედ რჩება, აღმოსავლეთით კი, საკურთხეველის ორივე მხარეს, მცირე ზომის სწორკუთხა, ასევე აფსიდებით დასრულებული სათავსებია — საღიაკენე და სამსხვერპლო.

საკურთხეველს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი იატაკის საერთო დონიდან ერთი ან ორი საფეხურიითაა აწეული. აქ ღვთისმსახურთა მიერ აღსრულდება საიდუმლო (ლიტურგია). საკურთხეველში დგას ტრაპეზი — შემადლებული ადგილი, რომელზეც საღვთო უამის წირვა აღსრულდება. საიდუმლოს აღსრულება მრევლისათვის უხილავი უნდა იყოს, ამიტომ საკურთხეველის წინ ქვის ზღუდე-კანკელია მოწყობილი. ადრეულ ხანაში კანკელები საკმაოდ ღია, გახსნილი ყოფილა — რამდენიმე გადაბმული თაღისაგან შედგებოდა. ე. ი. ლიტუ-

რგიაც ხილული იქნებოდა. X საუკუნიდან თაღებს შორის ფილებია ჩასმული.

გუმბათი ნახევარწრიული ფორმისაა. X საუკუნემდე გუმბათზე დიდი რელიეფური ჯვარი გამოისახებოდა.

გადახურვა ინტერიერში ნახევარწრიული კამარებით ხორციელდება, მხოლოდ საკურთხეველი და მისი გვერდითი სათავსები სრულდება კონქით (სფეროს 1/4 ნაწილი). გარედან მკლავთაშორისი სივრცეები ცალფერდა სახურავით, ჯვრის მკლავები კი ორფერდა სახურავით იხურება.

IX—X საუკუნეებში საქართველოში მრავალი ტაძარი აიგო. ისინი საშუალებას გვაძლევენ თვალი მივადევნოთ ახალი სტილისა და ფორმების თანდათანობით შემუშავებას. ეს ტაძრებია ოპიზის მონასტრის ეკლესია, ექქისი, დოლისყანის ეკლესიები (X ს.) ტაო-კლარჯეთში, ბიჭვინთის დიდი ტაძარი (X ს.) და სხვ.

X საუკუნეში შემუშავდა და XI საუკუნემდე არსებობდა საეკლესიო შენობების კიდევ ერთი ტიპი — ექვსაფსიდიანი ეკლესიები. აფსიდები რადიალურადაა განლაგებული და შიგნიდან გეგმა ექვსკუთხედიან ფოთოლს ემსგავსება. გარედან ექვსივე აფსიდი ცილინდრში ან მრავალწახნაგშია ჩასმული, ასე რომ გუმბათიანად აქ ორი — დიდი და მცირე ცილინდრის შერწყმა გამოდის. ამ ტიპის ნიმუშებია გოგუბას და ოლთისის ეკლესიები სამხრეთ საქართველოში, ბოჭორმის ციხის ეკლესია გარე კანთში, კაცხის ტაძარი ჭიათურის მახლობლად.

ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ახალი ეტაპის სათავეებთან დგას კუმურდოს შესანიშნავი ტაძარი ჯავახეთში, ახალქალაქის მახლობლად. იგი აგებულია დიდი ქართველი ხუროთმოძღვრის საკოცარის მიერ. მშენებლობა 964 წ. დაწყებულია. ამას გვაუწყებს სამხრეთის შესასვლელის თავზე ამობურცული მთავრული ასოებით შესრულებული სამშენებლო წარწერა. კუმურდოს ტაძარს გვემთხვევა კიდევ დაკავშირებულია მრავალაფსიდიანი ეკლესიათა ზემოთ მოხსენიებულ ტიპთან. მაგრამ აქ იგი უთავსდება ჯვარისებრ, წაგრძელებულ მოხაზულობას, რომელიც ნაგებობას გარედან აქვს და, რომელიც ამიერიდან მკვიდრდება. სამშენებლო-ტექნიკური თვალსაზრისით (ქვის თლა, წყობა) კუმურდო ერთი ყველაზე ბრწყინვალე ნაგებობაა საქართველოში. მისი მორთულობა — კარნიზებისა და სარკმელთა საპირეების ჩუქურთმები — განსაკუთრებული სიფაქიზითაა შესრულებუ-

ლი. კედლები მოპირკეთებულია იშვიათი სილამაზის მოვარდისფრო ქვით. აქა-იქ ხუროთმოძღვარს გაბედულად ურთავს მკაფიო მახვილებს: თითქმის სისხლისფერ ქვებს (ჯვარი და სარკმლის თალი აღმოსავლეთის ფასადზე). გუმბათქვეშა თაღების დონეზე მოთავსებული რელიეფური ქანდაკებები ლეონ აფხაზთა მეფესა და მის დას გურანდუსტს გამოსახავს. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს ტაძრის შიდა სივრცე თავისი დიდებულებითა და ჰარმონიულობით. XI საუკუნეში, ბაგრატ IV დროს, ტაძარს სამხრეთის კარბზე მიაშენეს. შემდგომში ტაძარი დიდად დაზიანდა, გუმბათი და კამარების დიდი ნაწილი ჩამოქცეულია.

X ს. ბოლო ათწლეულიდან უკვე მკაფიოდ ჩანს ახალი სტილი ხუროთმოძღვრებაში. შენდება დიდი საეპისკოპოსო ტაძრები, მეფეთა და დიდებულთა სასახლეები, დიდი ციხესიმაგრეები. ტაძრები ბევრად უფრო აზიდულია, რასაც ხელს უწყობს მრავალწახნაგა ყელის სიმაღლე და მისი წვეტიანი კარვისებური გადახურვა. იზრდება შენობის მასშტაბიც. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფასადთა მორთულობას. ქვაზე ნაკვეთი ჩუქურთმა ფაქიზი, ვირტუოზული შესრულებით ხასიათდება. ქოროდოს (დუშეთი) X საუკუნის ეკლესიის ბარელიეფებზე გადმოცემულია მშენებლობის სრული ციკლი: სამშენებლო მასალის ტრანსპორტირება, ქვის გათლა, ხსნარის მომზადება, ქვის მიწოდება და სხვ.

ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია ოშკისა და ხახულის შესანიშნავი საეპისკოპოსო ტაძრები ტაოში (ამჟამად თურქეთის ფარგლებშია).

ოშკის ტაძარი X ს. 50—60-იან წლებში აშენდა. როგორც სამშენებლო წარწერა გვაუწყებს, იგი აუგიათ აღარნასე კურაპალატის ძეგებს — ბაგრატ ერისთავთ-ერისთავსა და დავით მაგისტროსს, მშენებლობის ხელმძღვანელი, „საქმისა ზედამდგომი“ ყოფილა ვინმე გრიგოლი. კედლებზე შემორჩა ყველა ამ პირის რელიეფური გამოსახულება. გარედან ტაძარი მონუმენტურია. გუმბათის ყელი დეკორაციული თაღებითა და გრეხილი „სვეტებით“ 24 ნაწილად იყოფა. მასზე 12 სარკმელია. სარკმლებს, კარნიზებს, გუმბათის ყელის არშიებს, სვეტისთავეებს ჩუქურთმა და რელიეფი ამკობს, რომელთა მოტივები მრავალფეროვანია, შესრულება — ოსტატური.

ხახულის ტაძარი საერთო ხასიათით ოშკს ენათესავება, თუმცა

გეგმა რამდენადმე განსხვავებულია. დახვეწილ ხუროთმოძღვრებასთან ერთად ყურადღებას იქცევს მდიდარი ორნამენტული და სკულპტურული მორთულობა.

VIII—X სს. სამოქალაქო ხუროთმოძღვრების უმთავრესი ნიმუშები კახეთში შემორჩა (და, ალბათ, ტაო-კლარჯეთში, მაგრამ ეს მხარე ამჟამად ჩვენთვის მიუწვდომელია, ლიტერატურაში კი მხოლოდ რამდენიმე, თუმცა მეტად საყურადღებო ძეგლია გაშუქებული). ესაა საეპისკოპოსოს სასახლეები ნეკრესსა და ჭერემში, ფეოდალთა სასახლეები ვანნაში, ვანთასა და კვეტერის ციხეში.

ეს შენობები ერთი ტიპისაა: წაგრძელებული, სწორკუთხა გეგმა, ორი სართული — ქვემო, უფრო დაბალი — დამხმარე სათავსოებისათვის, პატარა სარკმლებით, მეორე — საცხოვრებელი. როგორც წესი, აქ ერთი დიდი დარბაზი და ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებული უფრო მცირე ოთახებია. ცალ მხარეს დიდი, ფართო თაღოვანი სარკმლების მწკრივია; სარკმლები იატაკიდანვე იწყება. დარბაზში დიდი ბუხარია. კედლები რიყის ქვისაა, შიგნით შელესილი, ჭერი — ბრტყელი, ხის კოჭებითა და ორკალთიანი სახურავით. ეს შენობები ძლიერ დაზიანებულია.

ამ სასახლეებს უახლოვდება იყალთოს აკადემიის შენობა (IX—X სს.). ისიც ორსართულიანია: ზემოთ უზარმაზარი დარბაზია — სიგრძით 20 მეტრი. აღმოსავლეთის გადარჩენილ კედელში ორი დიდი თაღია, ერთმანეთისაგან რვაწახნაგიანი სვეტით გაყოფილი. ეს თაღები საზეიმო იერს ანიჭებს მთელ შენობას.

საინტერესო ნაგებობაა ოშკის მონასტრის სატრაპეზო-სემინარია: გრძელი, სამნაგიან ბაზილიკისებრი დარბაზი და კვადრატული ოთახი. გადახურული სფერული გუმბათით, გაშუქებული გუმბათშივე დატანებული სარკმლით. ე. თაყაიშვილი თვლიდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო ბიბლიოთეკა-სკრიპტორიუმი — წიგნის გადამწერთა („მწერალთა“) სამუშაო ოთახი.

ბ) ხელოვნება

IX—X სს. ყალიბდება შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანესი დარგი — მონუმენტური მხატვრობა. ვითარდება რელიეფური სკულპტურა, ოქრომჭედლობა, წიგნის მხატვრობა, გამოყენებითი ხელოვნება.

მხატვრობა თანდათანობით იკავებს ადგილს ქრისტიანული ტაძრის ინტერიერში. თავდაპირველად შენობის მხოლოდ ცალკეული მნიშვნელოვანი ნაწილები იხატებოდა, განსაკუთრებით—საკურთხეველი. შემდგომ მხატვრობა თანდათანობით ავსებს კედელ-კამარებს. ჩვენში, ისევე როგორც მთელ სამართლმადიდებლოში, მხატვრობამ კედელი სრულად შეავსო XI ს. პირველი ნახევრიდან.

შუა საუკუნეების ქართული მხატვრობის ძირითადი სახეა კედლის მხატვრობა — ფრესკა.

ფრესკა ბათქაშზე მიწის საღებავით შესრულებული მხატვრობაა. იმის მიხედვით, ფერწერა სველ ბათქაშზეა შესრულებული თუ მშრალზე, განასხვავებენ ფრესკის ორ ტიპს. ქართული ფრესკა შერეული ტექნიკით სრულდებოდა: შეღესვისთანავე მონიშნებოდა ზოგადი კომპოზიციური სქემა და დაიტანებოდა ძირითადი ფერები, შემდეგ კაუკვე მშრალ ბათქაშზე ხდებოდა ფერწერის ფერადოვანი დამუშავება—„შემოსვა“. მიწის საღებავის გვერდით ფართოდ გამოიყენებოდა მინერალები — ლაჟვარდი, სინგური, ბადახშანი, მინერალური ოქრო (აურიპიგმენტი), ზოგჯერ — ფერადოვანი ოქროც.

ფრესკული მხატვრობა სიუჟეტთა შერჩევის, სურათების კომპოზიციის, კედელ-კამარებზე მათი განლაგების მხრივ მტკიცე რეგლამენტაციას ემორჩილებოდა. X—XI სს. ბიზანტიასა და მთელ აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში ეს რეგლამენტაცია უკვე საცხებით ჩამოყალიბებულია. ქართული მხატვრობა თავისი საერთო ხასიათითა და ძირითადი სტილისტური ნიშნებით უფრო ახლოა ბიზანტიურ ხელოვნებასთან, ვიდრე სხვა დარგები, მაგალითად, ხუროთმოძღვრება, რომელიც საცხებით დამოუკიდებლად ვითარდება. მიუხედავად ამისა, ქართული მხატვრობა გარკვეული თავისებურებით გამოირჩეოდა. გავლენას ახდენდა ეროვნული გემოვნება, ხალხური ტრადიციები. ეს ნახატშიც იჩენს თავს და ფერთა შეხამებაშიც. ჩვენში შემუშავდა წმინდანთა ცხოვრების ზოგი ისეთი ციკლი, რომელიც სხვა ქვეყნებისათვის უცნობია.

როგორ განთავსდებოდა ფრესკა ქართული ტაძრის შიდა სივრცეში?

მხატვრობა იშლება ზემოდან ქვემოთ. გუმბათზე გამოისახება: ა) ტრიუმფალური ჯვარი, აქეთ-იქით ორი ანგელოზით, რომლებიც აამაღლებენ მას (როგორც ვთქვით, X საუკუნემდე ჯვარი რელიეფობით იშლება).

რად გამოისახებოდა: სამწევრისი, ჯვარი, სიონი და სხვ.); ბ) უფალი, მამა-ღმერთი.

გუმბათის ყელზე მთავარანგელოზთა რიგია, მის ქვემოთ — წინა-სწარმეტყველთა. აფრებზე გამოისახებოდა მახარებლები მათე, მარკო-ზი, ლუკა და იოანე. სვეტებზე გამოისახებოდნენ წმინდა მოწამეები — დაყუდებული ბერები, მესვეტეები მოწამე-მეომრები. საკურთხეველის კონქში მუდამ გამოისახებოდა განკაცებული ღმერთი — ქრისტე. საქართველოსათვის დამახასიათებელია აგრეთვე ყრმით ტახტზე მჯდომი ღვთისმშობლის გამოსახვა. კონქს ქვემოთ მაცხოვრის მიერ მოციქულთა ზიარების სურათია. იგი სწორი ხაზით ან ორნამენტული არ-შით მკაფიოდ ემიჯნება მის ქვემოთ წარმოდგენილ წმინდა მამათა რიგს (წმ. იოანე, ოქროპირი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, სვიმეონ მე-სვეტე და სხვ.).

მკლავების კედლები და კამარები რეგისტრებად იყოფა. აითოველ პორიზონტალურ მონაკვეთზე ქრისტეს ცხოვრების ამსახველი სცენები, რომლებიც ერთმანეთს ასევე ხაზებით ან ორნამენტული არშიებით ემიჯნება. აქვეა ეკლესიის პატრონის (ვის სახელზეცაა აგებული ეკლესია) ან რომელიმე წმინდანის (ძირითადად, ღვთისმშობლის ან წმინდა გიორგის) ცხოვრების სცენები.

საკურთხეველის მოპირდაპირე — დასავლეთის — კედელი ეთმოზო-და მეორედ მოსვლის, „განკითხვის დღის“ გამოსახვას (ქართულ ტაძრებში მეტი ადგილი ეთმოზო სამოთხის, ვიდრე ჯოჯოხეთის სცენებს).

სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების ქვედა რეგისტრზე კტიტორთა გამოსახულებებია. ესენია მეფეები, უფრო იშვიათად — დიდებულები, ეკლესიის მსახურები. ისინი გამოისახებიან ვედრების პო-ზით საკურთხეველისაკენ მიმართულნი, მათ წინ კი — ან რომელიმე წმინდანი, ან ღვთისმშობელი, ან თავად მაცხოვარი. ეს გამოსახუ-ლება მცირე ზომისაა და ოდნავ მაღლა აწეული, რათა ხაზი გაესვას მიწიერისა და ზეციერის გამიჯვნას.

მოსახულება არასოდეს იწყება უშუალოდ იატაკის პირიდან, იგი ყოველთვის ოდნავ აწეულია. პირველი რეგისტრის დაწყებამდე სქელი ორნამენტული არშიაა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ კედლის გამოსახულებები გაიმიჯნება მრევლისაგან.

ყოველ სცენას შუამდებლად განსაზღვრული ადგილი ჰქონდა მიჩნე-ლი. მაგალითად, არ შეიძლებოდა „ღვთისმშობლის მიძინების“ ქვემოთ „ხარება“ იყოს გამოსახული ან კიდევ — „იერუსალიმში შესვლა“ ზე-მოთ და „ნათლისღება“ — ქვემოთ.

IX—X საუკუნეებიდან მონუმენტური მხატვრობის სულ რამდენი-მე, ისიც ფრაგმენტულად გადარჩენილი ნიმუში შემოგვრჩა (თელოვა-ნი, არმაზი ქსნის ხეობაში, ნესგუნი სეანეთში და სხვ.). ამ პერიოდში უკუაგდეს ანტიკური მხატვრული მემკვიდრეობა, რომელიც ჯერ კიდევ ნათლად შედარდებოდა ბიჭვინთის იატაკისა და წრომის საკურთხეველის მოზაიკაში. ფორმები გადმოცემულია ბრტყლად, ხა-ზები კუთხოვანია, ფიგურათა პროპორციები დარღვეულია.

სამოქალაქო შენობების — სასახლეების — მოხატულობა, ცხადია, კანონებით იმდენად შეზღუდული არ იქნებოდა, მაგრამ მის ნიმუშებს ჩვენამდე არ მოუღწევია და ამდენად, არც მსჯელობა შეგვიძლია.

შუა საუკუნეების ქართული მხატვრობის კიდევ ერთი სახეა მოზა-იკა, თუმცა მისი სულ რამდენიმე ნიმუშია ცნობილი. მოზაიკა პატარა ფერადი კენჭებისაგან (მათ საქართველოში „სოფის კენჭს“ უწოდებ-დნენ) მოისხმებოდა. კენჭები დაიფარებოდა ბუნებრივი ოქროს ან მი-ნერალური საღებავის პიგმენტით, ზემოდან კი გადაეფლებოდა მინის უთხელესი გამჭვირვალე ფენა, რომელიც ჟამის მოქმედებისაგან იცა-ვდა ფერს და მას განსაკუთრებულ სხივოსნობას მატებდა. შეიძლება ითქვას, რომ მოზაიკამ საქართველოში ფართო გავრცელება ვერ პო-ვა.

როგორც უკვე ითქვა, შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოში არ განვითარებულა მრგვალი ქანდაკება; დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რელიეფურ სკულპტურას, რომელიც ხუროთმოძღვრებას უკავშირდებოდა. განვითარდა აგრეთვე ოქრომქანდაკებლობა — ოქროსა და ვერცხლის რელიეფები ხატების, ჯვრებისა და სხვა საეკლესიო ნივთების შესამკობად.

რელიეფური ქანდაკებებით იმკობოდა ტაძრების გარე კედლები. რაგინდ ძლიერ არ უნდა ყოფილიყო რელიეფი ამოზიდული, იგი არა-სოდეს გამოეყოფოდა კედლის ზედაპირს. ფასადებზე გამოისახებოდა მაცხოვარი, ღვთისმშობელი, მეფეები, წმინდა მოწამენი, კტიტორები, სიცოცხლის ხე, სამოთხის ცხოველები და სხვ.

რელიეფური ქანდაკება მიზნად არ ისახავს სინამდვილის რეალურ ასახვას, ბევრი რამ მასში პირობითია: კერძოდ, ფიგურები ბრტყე-

(კამარების „მარმარილოს“ სვეტები იონიური და კორინთული სვეტი-სთავეებით, ტანსაცმლის დრაპირება და სხვ.). იგივე შეიძლება ითქვას ადიშის ოთხთავის მხატვრობაზეც.

როგორც არქეოლოგიური გათხრები გვიჩვენებს, IX—X სს. ჩვე-ნში განვითარებული ყოფილა ხელოსნობისა და გამოყენებითი ხელო-ვნების სხვადასხვა დარგიც.

ქართული კულტურის ოქროს ხანა

(ქართული კულტურა XI საუკუნიდან XIII საუკუნის 20-იან წლებამდე)

XI—XII საუკუნეები საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკუ-რი აღმავლობის ხანა იყო. დასრულდა X საუკუნის 70-იან წლებში დაწყებული ქვეყნის გაერთიანების პროცესი, ერთიანი ქართული სახე-ლმწიფო თანდათანობით იქცა ანგარიშგასაწევ ძალად მახლობელ აღ-მოსავლეთში. იგი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ცხოვრე-ბაში, გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთი-სა და დასავლეთის ქვეყნებთან.

ქართული კულტურა ხელსაყრელ პირობებში ვითარდებოდა. აღო-რძინდა კულტურის ძველი კერები, მათ გვერდით გაჩნდა ახალი. აღ-მაელობის გზას ადგა მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება. დასავ-ლეთისა და აღმოსავლეთის მიჯნაზე მდებარე საქართველო ითვისებდა დასავლეთის ქრისტიანული კულტურისა და ისლამის ნიადაგზე შე-ქმნილი არაბულ-სპარსული კულტურის მიღწევებს, რაც ხელს უწყობ-და ქართული მწერლობისა და ხელოვნების განვითარებას. ქართულმა კულტურამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს გაერთიანების საქმეში.

1. სწავლა-განათლება, კულტურის კარავი

სწავლა-აღზრდის ძირითად კერებს ეკლესია-მონასტრები წარმო-ადგენდა. მათთან არსებობდა სკოლები, რომლებიც მწიგნობარ ბერ-მონაზვნებს, ეკლესიის მსახურებს ამზადებდნენ.

ვიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფის ცნობით, ვიორგის მშობლებმა თავიანთი ქალიშვილი თეკლე, როცა იგი შვიდი წლისა გახდა, ტაძრი-სის (სამცხე) დედათა მონასტერში მიიყვანეს და მის წინამძღვარს ჩა-აბარეს, რომელმაც „შეითვისა იგი“ და „კეთილად აღზარდა“. შვიდი